ეროვნული ბიბლიოთეკა

კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1930 წლის ივლისის 16.	№ 13 განყოფილება პირველი	ა/კსფსრ სახალ. კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველობის მიერ გამოცემული.

შ ი ნ ა ა რ ს ი:

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

მუხ. 147. ხეტყის დამზადებისა და წყლით ჩამოტივტივების სამუშაოთა გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ.

„ 148. შრომის საგზაო ბეგარის დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

„ 149. ა/კსფსრ შრომის კანონთა კოდექსის 75, 94, 96 და 131 მუხლების შეცვლისა და ამ კოდექსისათვის 97[1] მუხლის დამატების შესახებ.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

„ 150. საბჭოთა არჩევნებისათვის გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ინსტრუქციის მე-15 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ.

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

„ 151. „შინამრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის თაობაზე" გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივნისის 2-ის დადგენილების განზორციელების შესახებ.

„ 152. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული შრომის ბაზრის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ.

„ 153. 1930 წლის შემოდგომის თესვის კამპანიის გეგმის შესახებ.

„ 154. შემოდგომის თესვის კამპანიის ჩატარების საქმის განსაკუთრებული რწმენებულის შესახებ.

დადგენილებანი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

147. ხეტყის დამზადებისა და წყლით ჩამოტივტივების სამუშაოთა გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ნება დაერთოს სოსიოფლო საბჭოებს—იმ შემთხვევაში, როდესაც მოქალაქეთა საერთო კრების (სასოფლო ყრილობის) მიერ მიღებულია დადგენილება, რომლის თანახმადაც მთელი სოფელი თვითვალდების წესით იკისრებს შეასრულოს ფასით ხეტყის დამზადებისა და გამოტანის განსაზღვრული სამუშაო, სხვათა შორის, თავისი ჰაპანზიდვის ძალით და აგრეთვე ჩამოტივტივებით, და ამისათვის გაანაწილებს ამ დავალებას ცალკეულ მეურნეობათა შორის, —დაადგან იმ ცალკულ მეურნეს, ვინც არ ასრულებს სოფლის ყრილობის ზემოაღნიშნულ გადაწყვეტილებას, ჯარიმა ადმინისტრატიული წესით მისი ხვედრი სამუშაოს ღირებულების ხუთჯერადი რაოდენობის ფარგლებში, თანაც შეუფარდონ მას ქონების ვაჭრობით გაყიდვა, უკეთუ იგი თავს აარიდებს ჯარიმის გადახდას.

იმ კულაკური მეურნეობის კუთვნილი ჰაპანზიდვის ძალა, რომელიც არ ასრულებს თავის მოვალეობას ტყის გამოტანისა და ტყის ჩამოტივტივების სფეროში, სასოფლო საბჭოს დადგენილებით, ჩამორთმეულ უნდა იქნეს ტყის დამზადების საჭიროებისათვის.

2. წინადადება მიეცეს სასოფლო საბჭოებს, უკეთუ მეურნეობათა ჯგუფები წინააღმდეგობას გაუწევენ ტყის დამზადებას და ტყის ჩამოტივტივებას, აგრეთვე უარს იტყვიან აღნიშნულ სამუშაოთა შესრულებაზე, აღძრან ხსენებული პირების წინააღმდეგ დევნა სისხლის სამართლის წესით სისხლის სამართლის კოდექსის სათანადო მუხლების თანახმად.

3. იმ საჯარიმო თანხებიდან,—რაც გადაჰხდებათ ცალკეულ მეურნეობათ, რომელნიც არ შეასრულებენ მოქალაქეთა საერთო კრების (სოფლის ყრილობის) დადგენილებას მთელი სოფლის მიერ თვითვალდების წესით ტყის დამზადებისა და ხეტყის ჩამოტივტივების სამუშაოთა შესრულების თაობაზე,—ოცდახუთი პროცენტი აუცილებლად უნდა გადაირიცხოს სოფლის ღარიბთა კოოპერირებისა და კოლექტივიზაციის სათანადო ფონდებში, როგორც იმ შემთხვევაში, როდესაც ჯარიმა დადებულია ადმინისტრატიული წესით (სოფლის საბჭოს მიერ), ისე იმ შემთხვევაში, როდესაც ჯარიმა დადებულია სასამართლოს მიერ; ხოლო დანარჩენი სამოცდახუთმეტი პროცენტი უნდა მიიქცეს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავალში.

4. ნება დაერთოს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს,—იმ შემთხვევაში, როდესაც ნახმარია ყველა სხვა

ხერხი ხეტყის დამზადებისა და ხეტყის ჩამოტვიტვიების საქმის მუშა-ძალით და ჭაპანზიდვის ტრანსპორტით უზრუნველყოფისათვის, — შემოიღონ ხეტყის დამზადებისა და ხეტყის ჩამოტვიტვიების რაიონებში ფასიანი შრომისა და ჭაპანზიდვის ბეგარა ხეტყის დამზადებისა და ხეტყის ჩამოტვიტვიების საჭიროებისათვის.

კულაკური ელემენტები გაიწვევიან სამუშაოდ შრომის შემცირებული სასყიდლით ადგილობრივი პირობების კვალობაზე.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. ბეგზადიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ს. იაკუბოვი.**

1930 წ. ივლისის 3.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 181 №-ში 1930 წ. ივლისის 9-ს.

---

148. შრომის საგზაო ბეგარის დებულების დამტკიცებისა და სამოქმედოდ შემოღების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დამტკიცებულ და სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს შემდეგი დებულება შრომის საგზაო ბეგარის შესახებ.

2. წინა მუხლში აღნიშნული შრომის საგზაო ბეგარის დებულების მოქმედება გავრცელებულ იქნეს მთლად ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის ქალაქისა და სოფლის მოსახლეობაზე, შემდეგი ქალაქების მოსახლეობის გამოკლებით:

აზერბაიჯანის სსრ-ში: ბაქოსი, განჯისა, ნუხისა, ზაქათლისა, კუბისა და ლენქორანისა;

სომხეთის სსრ-ში: ერივანისა და ლენინაკანისა;

საქართველოს სსრ-ში: ტფილისისა, ბორჯომისა, ქუთაისისა, ფოთისა, ჭიათურისა, სოხუმისა, ბათუმისა, ახალციხისა, სიღნაღისა, თელავისა, გუდაუთისა, და ოჩემჩირისა.

3. 1-ლ მუხლში აღნიშნული შრომის საგზაო ბეგარის დებულების სამოქმედოდ შემოღებისათანავე:

ა) გაუქმებულ იქნეს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. სექტემბრის 5-ის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილებით დამტკიცებული დებულება სოფლის მოსახლეობის შრომის საგზაო ბეგარის შესახებ (ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. მე-17 №-ი, მუხ. 204 და 1929 წ. მე-14 №-ი, მუხ. 112);

ბ) ძალადაკარგულად ჩაითვალოს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებანი: 1927 წ. სექტემბრის 5-ისა „სოფლის მოსახლეობის შრომის საგზაო ბეგარის დებულების დამტკიცების შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. მე-17 №-ი, მუხ. 204) და 1929 წ. მარტის 4-სა „სოფლის მოსახლეობის შრომის საგზაო ბეგარის დებულების მოქმედების ქალაქებზე და ქალაქის ტიპის დასახლებულ გაერცელების შესახებ (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე-8 №-ი, მუხ. 81).

4. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს გამოსცენ, ერთი თვის ვადაზე, დადგენილებანი იმ საკითხის თაობაზე, რაც შრომის საგზაო ბეგარის დებულებით მიკუთვნებულია მათი გამგებლობის საგნებისათვის, და შეიტანონ რესპუბლიკების კანონმდებლობაში აღნიშნული დებულებიდან და ამა დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

5. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოს გამოსცეს, ერთი თვის ვადაზე, შრომის საგზაო ბეგარის დებულების 28 მუხლით გათვალისწინებული ინსტრუქცია.

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ა. ბეგზადიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური
აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი **ნ. იაკუბოვი.**

1930 წ. ივლისის 3.
ტფილისი-სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

შრომის საგზაო ბეგარის შესახებ

1. შრომის საგზაო ბეგარა დაწესებულია:

ა) რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და აგრეთვე ამ გზების დამხმარე ნაგებობათა გაკეთებისა, რემონტისა და წესიერად შენახვისათვის საჭირო სამუშაოების შესასრულებლად;

ბ) საერთო-საკავშირო მნიშვნელობის გზატკეცილებისა და ყამირგზებისა და საგზაო ნაგებობათა რემონტისათვის საჭირო სამუშაოების შესასრულებლად,

უკეთუ მათ დაზიანებასთან ბუნების სტიქიურ მოვლენათაგან დაკავშირებულია მოძრაობის შეჩერების საფრთხე.

შენიშვნა. განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც საერთო-საკავშირო გზატკეცილებისა და ყამირგზების ამა თუ იმ უბანს აქვს უაღრესი ეკონომიური მნიშვნელობა ადგილობრივი მოსახლეობისათვის, შეიძლება, იმ საერთო წესის გამონაკლისად, რაც გათვალისწინებულია ამა დებულებით, შრომის საგზაო ბეგარზე გაწვეულ იქნეს ის მოსახლეობა, რომელიც უშუალოდ დაინტერესებულია ამ გზების წესიერად შენახვით, აგრეთვე საერთო-საკავშირო მნიშვნელობის გზების და საგზაო ნაგებობათა გაკეთებისა, რემონტისა და წესიერად შენახვისათვის საჭირო სამუშაოების შესასრულებლად.

ასეთ შემთხვევაში მოსახლეობის გაწვევა შრომის საგზაო ბეგარაზე შეიძლება მხოლოდ სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტის სპეციალური დადგენილებით.

2. შრომის საგზაო ბეგარის წესით შეიძლება შესრულებულ იქნეს მხოლოდ ისეთი სამუშაო, რაზედაც გამოიყენება არაკვალიფიციური მუშა-ძალა.

შენიშვნა. უკეთუ შრომის ბეგარავალდებულ პირთა შორის არიან კვალიფიციური შრომის მუშები, რომლებიც გამოიყენებიან გზის სამუშაოზე, არაკვალიფიციური სამუშაო, ბეგარავალდებული პირის თანხმობით, შეიძლება შეეცვალოს მას და გამოყენებულ იქნეს მისი კვალიფიციური შრომა, სავალდებულო სამუშაო დღეების შემცირებით შრომის ღირებულობის შესაბამისად.

3. შრომის საგზაო ბეგარა შეიცავს:

ა) მოქალაქეთა პირადი შრომით მონაწილეობას საგზაო სამუშაოებში;

ბ) საგზაო სამუშაოთათვის მუშა-საქონლისა და საჭირო ჯაპანზიდვის სატრანსპორტო საშუალებათა და ინვენტარის დათმობას.

საგზაო მუშაობაში შრომით მონაწილეობისა და მუშა-საქონლისა, სატრანსპორტო საშუალებისა და ინვენტარის ნატურად მიცემის ნაცვლად სათანადო ფულადი თანხის შეტანა შეიძლება ქვემოაღნიშნულ შემთხვევაში და წესით.

4. შრომის საგზაო ბეგარაზე—ცალკეულ მოქალაქეთა პირადი შრომით მონაწილეობისათვის (მე-3 მუხლის „ა“ ლიტ.)—გაიწვევა, ამა დადგენილების მე-5 მუხ. განსაზღვრულ გამონაკლისთა გარდა, ყველა მოქალაქე მამრობითი სქესისა ასაკით 18 წლიდან 55 წლამდე.

5. საგზაო მუშაობაში შრომითი მონაწილეობისათვის არ გაიწვევა:

ა) ის პირი, რომელმაც ავადმყოფობისა თუ დაშავების გამო დაკარგა შრომის უნარი სამუდამად ან დროებით;

ბ) ის პირი რომელიც ნამდვილ სამხედრო სამსახურშია წითელი არმიის მუდმივ ან ცვალებად ნაწილში და წითელ ფლოტში;

გ) ის პირი, რომელიც მუდმივ სამსახურშია სახელმწიფო, საზოგადოებრივ და კოოპერატიულ დაწესებულებასა და საწარმოში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) მუშა სახელმწიფო, კოოპერატიული და კერძო საწარმოსი და ამბოკარი;

ე) ის პირი, რომელიც განთავისუფლებულია საგზაო მუშაობაში შრომითი მონაწილეობისაგან სხვა პატიესადები მიზეზით, ა/კსფსრ შედგენილოში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობის წესისამებრ.

შენიშვნა. ამა მუხლის „გ“ და „დ“ პუნქტებში აღნიშნული პირები გაიწვევიან შრომის საგზაო ბეგარაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ მათ აქვთ საკუთარი სასოფლო მეურნეობა, ხოლო მათ საგზაო მუშაობაში პირადი შრომით მონაწილეობა შეეცვლებათ ფულადი გადასახადით.

6. საგზაო მუშაობაში შრომითი მონაწილეობა საოპერაციო წლის განმავლობაში, რაც თითო პირზე მოდის, არ შეიძლება აღემატებოდეს შვიდი დღის სამუშაო დატვირთვას საგადანაკვეთო დებულების ნორმების მიხედვით.

შენიშვნა 1. მე-7 მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნული პირები შეიძლება გაწვეულ იქნენ საგზაო მუშაობაში შრომითი მონაწილეობისათვის ვადით 14 დღემდე წელიწადში.

შენიშვნა 2. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობით შეიძლება დადგენილ იქნეს შელავათები ცალკეული რაიონებისა და კატეგორიების მოსახლეობისათვის იმ მხრით, რომ შეუმცირდეს მას ამა მუხლში აღნიშნული სამუშაო დღეების უკიდურესი რიცხვი.

7. შრომის საგზაო ბეგარის გამოყენებით განსახორციელებელ საგზაო სამუშაოთა წლიური გეგმებით (მუხ. 25) გათვალისწინებული სამუშაო დღეების საერთო რიცხვი, რაც სათანადო ადგილის მოსახლეობაზე მოდის, განაწილდება, მე-6 მუხლში აღნიშნული ფარგლების მიხედვით, ყველა ბეგარავალდებულ პირთა შორის თანაბრობით.

ის პირი, რომლის მეურნეობაც ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით იბეგრება ინდივიდუალური წესით, ან რომელიც სახელმწიფო საშემოსავლო გადასახადს მე-3 №-ის განრიგებით იხდის, გაიწვევა საგზაო მუშაობაში შრომითი მონაწილეობისათვის ისეთი ვარაუდით, რომ მის სამუშაო დღეთა რიცხვი ერთი-ორად აღემატებოდეს დანარჩენი მოსახლეობის სამუშაო დღეთა რიცხვს.

8. შრომის საგზაო ბეგარაში მონაწილეობის მისაღებად—საგზაო ორგანიზაციისათვის მუშა-საქონლისა, საჭირო ჰაპანზიდვის სატრანსპორტო საშუალებისა და ინვენტარის (მუხ. 3, პუნ. „ბ“) გადაცემით—გაიწვევა ყველა კოლექტიური და ინდივიდუალური მეურნეობა, კერძო სავაჭრო და სამრეწველო საწარმო, სასოფლო-სამეურნეო საწარმოო კოოპერატიული ამხანაგობა და არტელი, რომელიც ფაქტიურად სარგებლობს სათანადო გზებს.

9. საგზაო ორგანიზაციისათვის გადაცემისაგან განთავისუფლდება:

ა) მუშა-საქონელი ოთხწლისაზე უმცროსი;

ბ) ჯიშიანი საქონელი, რომელიც რეგისტრირებულია არსებული წესით;

გ) დაავადებული მუშა-საქონელი, რომელსაც მუშაობა არ შეუძლიან, ან რომელიც სავეტერინარო ზედამხედველობის ორგანოების განკარგულებით განცალკევებულ უნდა იქნეს; აგრეთვე ოთხფეხი საქონელი იმ ადგილებიდან, სადაც

შემოღებულია საერტერნარო კარანტინი, უკეთუ საგზაო ბეგარის წესით ეს საქონელი უნდა გაიგზავნოს კარანტინისაგან თავისუფალ რაიონში;

დ) ის მუშა-საქონელი, რომელიც განთავისუფლებულია საგზაო ორგანოებისათვის გადაცემისაგან ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობის წესით.

10. იმ მეურნეობის მუშა საქონელი, სატრანსპორტო საშუალებითურთ, რომლის შედგენილობაშიაც შრომისუნარიანი პირი არ მოიპოვება, ან იმ მეურნეობისა, რომლის წევრებიც განთავისუფლებულ არიან საგზაო მუშაობაში პირადი შრომით მონაწილეობისაგან, გამოიყენება უპირატესად მსუბუქ სამუშაოზე და ისე, რომ საქონელი თვითეულ შემთხვევაში სახლის გარედ არ დარჩეს ერთ დღედაღამეზე მეტი ხნით; ამასთანავე, საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებათა გამყოლი უნდა დაინიშნოს პატრონის ამორჩევით.

11. უკეთუ საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებათა გამყოლი პირის პირადი შრომის გამოყენება საგზაო მუშაობაში სხვა ფორმით, ამ მუშაობის პირობების გამო, შეუძლებელია, მას ის დრო, რასაც იგი საქონლის გაყოლას მოანდომებს, ჩაეთვლება პირად შრომათს მონაწილეობად (მუხ. 3, პუნ. „ა"), ხოლო მე-6 მუხლით გათვალისწინებულ ფარგლებში.

12. შრომის საგზაო ბეგარა ამა დებულების მე-3 მუხლის „ბ" პუნქტში აღნიშნული ფორმით არ შეიძლება აღემატებოდეს შვიდ დღეს ერთ უღელ საქონელზე საგადანაკვეთო დებულების ნორმების თანახმად გამოანგარიშებული დატვირთვის მიხედვით.

შენიშვნა. ინდივიდუალური წესისამებრ ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგრილი მეურნეობა შეიძლება გაწვეულ იქნეს შრომის საგზაო ბეგარაზე მე-3 მუხლის „ბ" პუნ. აღნიშნული ფორმით ვადით 14 დღემდე წელიწადში თვითეულ უღელ მუშა-საქონელზე.

13. ინდივიდუალური და კოლექტიური სასოფლო მეურნეობა (კომმუნა, სასოფლო-სამეურნეო არტელი და საერთო ძალით მიწის დამმუშავებელი ამხანაგობა, სადაც მუშა-საქონელი განსაზოგადოებულია) შრომის საგზაო ბეგარაზე გაიწვევა ამა დებულების მე-3 მუხლის „ბ" პუნ. აღნიშნული ფორმით მხოლოდ იმ შემთხვევაში, უკეთუ მას ფაქტიურად ჰყავს მუშა-საქონელი და აქვს ჭაპანზიდვის სატრანსპორტო საშუალებანი,—ამ მუშა-საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებათა ხელთქონებული რაოდენობის მიხედვით.

14. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიული საწარმოო ამხანაგობა და არტელი, აგრეთვე კერძო სავაჭრო, სამრეწველო და სხვა საწარმო შრომის საგზაო ბეგარაზე გაიწვევა როგორც მაშინ, უკეთუ მას ჰყავს საკუთარი მუშა-საქონელი და აქვს ჭაპანზიდვის სატრანსპორტო საშუალებანი, ისე უამისოდაც, ხოლო იმ აუცილებელი პირობით, რომ საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებათა მიცემის ნაცვლად, იგი შეიტანს ფულად თანხას ამა დებულების მე-16 მუხლში აღნიშნული წესების მიხედვით.

შენიშვნა. უკეთუ კერძო სამრეწველო ან სავაჭრო საწარმო ეკუთვნის ისეთ პირს, რომელსაც აქვს სოფლის მეურნეობა, შრომის საგზაო ბეგარა მუშა-საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებათა მიცემის ფორ-

მით დაეკისრება მას როგორც ამა მუხლისა, ისე ამა დებულების მე-13 მუხლის წესით.

15. შრომის საგზაო ბეგარის გამოყენებით განსახორციელებელ საგზაო სამუშაოთა წლიური გეგმები (მუხ. 25) გათვალისწინებული დღე-საზიდავების საერთო რიცხვი, რაც სათანადო ადგილის მეურნეობაზე მოდის, განაწილდება პროპორციულად ყველა ინდივიდუალურ და კოლექტიურ მეურნეობათა შორის ამ მეურნეობების მუშა-საქონლისა და საჭირო ჰაპანზიდვის სატრანსპორტო საშუალებათა ხელთქონებული რაოდენობის მიხედვით. ინდივიდუალური წესისამებრ ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადით დაბეგრილი მეურნეობანი შრომის საგზაო ბეგარაზე გაიწვევიან მე-3 მუხლის „ბ“ პუნ. აღნიშნული ფორმით ისეთი ეარაუდით, რომ მათი დღე-საზიდავების რიცხვი ერთი-ორად აღემატებოდეს დანარჩენ მეურნეობათა დღე-საზიდავების რიცხვს.

16. ამა დებულების მე-14 მუხლში აღნიშნულ ორგანიზაციებს, მუშა-საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებათა გადაცემის ნაცვლად, შეაქვთ, სათანადო წლიურ გეგმებში გათვალისწინებულ საგზაო სამუშაოთა მოცულობის მიხედვით, სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტების დადგენილებების თანახმად, ფულადი გადასახდელი: სასოფლო-სამეურნეო კოოპერატიულ ამხანაგობებსა და არტელებს არა უმეტეს მათთვის სათანადო სამეურნეო წელს გამოანგარიშებული ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადისა 15%-სა, ხოლო კერძო სავაჭრო და სამრეწველო საწარმოთ—არა უმეტეს მათ მიერ სათანადო წელს გადასახდელი სარეწაო ან საშემოსავლო გადასახადის 50%-სა.

17. არ შეიძლება:

ა) იმ მოქალაქის გაწვევა საგზაო მუშაობაში პირადი შრომით მონაწილეობისათვის, რომლის საცხოვრებელი ადგილი დაშორებულია აღნიშნულ სამუშაოებზე 8 კილომეტრზე მეტი მანძილით;

ბ) მუშა-საქონლისა და სატრანსპორტო საშუალებათა გადაცემა, უკეთუ მასალების ზიდვა ან სხვა მუშაობა სწარმოებს 20 კილომეტრზე უფრო დაშორებით საქონლის პატრონის საცხოვრებელი ადგილიდან.

შენიშვნა. ამა მუხლის „ა“ პუნქტში აღნიშნული ფარგალი, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობის წესით, შეიძლება გადიდებულ იქნეს 15 კილომეტრამდე, ხოლო იმ აუცილებელი პირობით, რომ ბეგარაზე გაწვეულთ სამუშაოების ადგილს ღამის გასატარებლად სადგომი მიეცეთ.

18. არ შეიძლება სოფლის მოსახლეობის შრომის საგზაო ბეგარაზე გაწვევა ინტენსიურ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა პერიოდში, გარდა ამა დებულების 1-ლი მუხლის „ბ“ პუნქტში აღნიშნული შემთხვევებისა და აგრეთვე იმ შემთხვევისა, როდესაც საჭიროა ბუნების სტიქიური მოვლენათაგან დაზიანებული რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის გზატკეცილებისა და ყამირგზების სასწრაფოდ აღდგენა, ან როდესაც აუცილებლად საჭიროა წინასწარი მუშაობის წარმოება ასეთი დაზიანების თავიდან ასაცილებლად.

19. როდესაც ამა თუ იმ ადგილას საკმარისად არის დასაქირავებელი მუშა-ძალა და მუშა-საქონელი—სატრანსპორტო საშუალებითურთ—და ეს დამტ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიცებულია ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობაში გათვალისწინებული წესისამებრ, შრომის საგზაო ბეგარავალდებულ პირთ და მეურნეობათ უფლება ეძლევათ შესცვალონ პირადი შრომით მონაწილეობა და ამა დებულების მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტით დადგენილი ბეგარა სათანადო ფულადი გადასახდელით.

შრომის საგზაო ბეგარის ნაცვლად გადასახდელი ფულადი თანხის ნორმები განისაზღვრება ამა თუ იმ ადგილის არსებული მუშა-ხელისა და მუშა-საქონლის ფასების შესაბამისად—ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობის წესისამებრ.

20. უკეთუ შრომის საგზაო ბეგარავალდებული პირი დანიშნულ დროს და ადგილას არ გამოცხადდება, აგრეთვე უკეთუ მეურნეობა არ გასცემს მუშა-საქონელს საპირო ჰაპანზიდვის სატრანსპორტო საშუალებითურთ, გაცდენილი სამუშაო დღეები და დღე-საზიდავები გადაიტანება ფულზე მე-19 მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილი ნორმების მიხედვით, რაც გადაჰხდება ბეგარავალდებულ პირს და მეურნეობას გადასახადთა გადახდევინების დებულების წესების თანახმად.

იმავე წესების მიხედვით გადახდევინებულ იქნება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობის წესისამებრ დადგენილ ვადაზე შეუტანელი თანხები, რაც უნდა გადაეხადნათ შრომის საგზაო ბეგარავალდებულ ორგანიზაციებს, პირებს და მეურნეობებს იმის გამო, რომ მათ პირადი შრომითი მონაწილეობა და ამა დებულების მე-3 მუხლის „ბ“ პუნქტით გათვალისწინებული ნატურალური ბეგარა შეეცვალათ ფულადი გადასახადით (მე-16 და 19 მუხ.).

შრომის საგზაო ბეგარის შესრულებაზე უარისთქმა გამოიწვევს, აღნიშნული ფულადი გადასახდელის გარდა, პასუხისმგებლობას ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების სათანადო მუხლების თანახმად.

21. ამა დებულების მე-5 მუხლის შენიშვნისა და მე-16, 19 და 20 მუხლების თანახმად შემოსული თანხები ჩაირიცხება სათანადო საგზაო სამუშაოთა მწარმოებელი ორგანიზების შემოსავალში და ამ თანხების ხარჯვა შეიძლება ისეთი მშენებლობის მიზნებზე, რაც განხორციელებულ უნდა იქნეს შრომის საგზაო ბეგარის გამოყენებით.

შენიშვნა. აღნიშნული სახსარის გადახდევინებისა, შენახვისა, აღნუსხვისა და ხარჯვის წესი განისაზღვრება ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატის ინსტრუქციით.

22. საგზაო სამუშაოებზე გაწვეული მოსახლეობის შრომის ან საქონლის გამოყენება არაპირდაპირი დანიშნულებისამებრ ან ამა დებულებაში გათვალისწინებული წესების დარღვევით გამოიწვევს დამნაშავე თანამდებობის პირთათვის პასუხისმგებლობას ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსების იმ თავის სათანადო მუხლების თანახმად, რომლითაც გათვალისწინებულია თანამდებობრივი დანაშაულობანი.

23. რესპუბლიკანური და ადგილობრივი მნიშვნელობის ყველა გზატკეცილი და ყამირგზა განაწილდება ცალკეულ უბნებად და მიიმაგრება ცალკეულ დასახლებულ პუნქტებზე (სოფელი, ქალაქი და სხვ.)—მისთვის შრომის საგზაო ბეგარის წესით მომსახურეობის გასაწევად.

ეს განაწილება მოხდება ა/კსფსრ შედგენილობა'ში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობით განსაზღვრული წესისამებრ.

შენიშვნა. გზების ის უბნები, რომლებიც შრომის საგზაო ბეგარის შეფარდების რადიუსის გარეშე მდებარეობს, ინახება მთლად საათანადო ბიუჯეტებში გადადებული ფულადი ასსიგნებით.

24. შრომის საგზაო ბეგარას ბეგარავალდებული პირები და მეურნეობები შეასრულებენ ნაკრობითი მუშაობის პრინციპზე, ე. ი. ბეგარავალდებულ პირს თუ მეურნეობას დაეკისრება განსაზღვრული მოცულობისა და თვისების საგზაო სამუშაო, რაც გამოიანგარიშება საგადანაკეთო დებულების ნორმების მიხედვით და ზემოაღნიშნული წესების შესაბამისად.

25. შრომის საგზაო ბეგარა გათვალისწინებულ უნდა იქნეს იმ საგზაო სამუშაოთა წლიურ გეგმებში, რაც განსახორციელებელია ამ ბეგარის შეფარდებით.

ეს გეგმები შემუშავდება გზათამშენებლობის სათანადო სახარჯთაღრიცხვო განზრახულებებთან ერთად: რესპუბლიკანური მნიშვნელობის გზებისათვის — ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის სამმართველოების მიერ, ხოლო ადგილობრივი მნიშვნელობის გზებისათვის—საოლქო და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტების მიერ (ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების მიერ) და დამტკიცდება არსებული საერთო წესისამებრ.

საგზაო სამუშაოთა წლიური გეგმებით გათვალისწინებულ უნდა იქნეს გზათამშენებლობისათვის საჭირო სამუშაო დღეებისა და დღე-საზიდავების საერთო რაოდენობა და მათი განაწილება მომსახურეობის გასაწევ უბნებს შორის (მუხ. 23); გეგმის შესაბამისად ხარჯთაღრიცხვებში უზრუნველყოფილ უნდა იქნეს ხარჯები სამუშაოთა ორგანიზაციისა, ტეხნიკური ზედამხედველობისა, საგზაო ინსტრუმენტების შეძენისა და სხვა ღონისძიებებთან დაკავშირებულ საჭიროებათათვის.

შენიშვნა. საგზაო სამუშაოთა წლიური გეგმების შედგენის დროს ვარაუდში მიიღება 15%-დე სამუშაო დღე და დღე-საზიდავი იმ გაუთვალისწინებელ სამუშაოთათვის, რაც დაკავშირებულია ბუნების სტიქიურ მოვლენათაგან მიყენებულ ზიანთან.

26. საგზაო სამუშაოთა ორგანიზაცია,—შრომის საგზაო ბეგარის გამოყენებით ამა დებულებისა და დამტკიცებული წლიური გეგმის საფუძვლებზე,—დაეკისრება ადგილობრივ საგზაო ორგანოებს.

27. შრომის საგზაო ბეგარაზე მოსახლეობის გაწვევა იმ დრომდე, ვიდრე განხორციელებულ არ იქნება წლიური გეგმებით გათვალისწინებული საორგანი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაციო ღონისძიებანი, რაც უზრუნველჰყოფს მუშა-ძალისა და ჯაპანზიდვის ძალის წესიერ და ნაყოფიერ გამოყენებას,—არ შეიძლება.

28. საერთო მეთვალყურეობას შრომის საგზაო ბეგარის ჩატარებისათვის ანხორციელებენ საოლქო და სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტები (ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები).

ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოს უფლება აქვს გამოსცეს, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით სათანადო შემთხვევაში, წესები და ინსტრუქციები ამა დებულების შეფარდებისათვის.

29. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობანი გამოსცემენ დადგენილებებს, რომლებითაც გადაწყდება ის საკითხები, რაც ამა დებულებით მიკუთვნებულია აღნიშნული რესპუბლიკების კანონმდებლობისათვის, აგრეთვე რომლებითაც განისაზღვრება წესი შრომის საგზაო ბეგარავალდებული მოსახლეობისა და მუშა-საქონლის აღნუსხვისა, ცალკეულ დასახლებულ პუნქტებს შორის წლიური გეგმებით გათვალისწინებულ საგზაო სამუშაოთა განაწილებისა და სამუშაოებზე ცალკეულ მეურნეობათა და პირთა განწესების შესახებ.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 188 №-ში 1930 წ. ივლისის 16-ს.

---

149. ა/კსფსრ შრომის კანონთა კოდექსის 75, 94, 96 და 131 მუხლების შეცვლისა და ამ კოდექსისათვის 97[1] მუხლის დამატების შესახებ.

„შვიდსაათიანი სამუშაო დღის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. იანვრის 2-ის დადგენილების თანახმად (სსრკ კან. კრ. 1929 წ. მე-4 №-ი, მუხ. 30) ამერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ა/კსფსრ შრომის კანონთა კოდექსის 75, 94, 96 და 131 მუხლები მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 75. იმ მოზარდს, რომელიც მიიშვება ნაჭრობით სამუშაოზე, ხელფასი ასეთი სამუშაოს შესრულებისათვის მიეცემა მოზრდილთათვის არსებული ნაჭრობითი შეფასების თანაბრად, თანაც ორი საათისათვის დანამატის მიცემით მისი სატარიფო ქსელის თანახმად.

უკეთუ მოზარდი მიშვებულია ნაჭრობითს სამუშაოზე შვიდსაათიან სამუშაო დღეზე გადაყვანილ საწარმოში, მას დანამატი მიეცემა ერთი საათისათვის მისი სატარიფო ქსელის თანახმად.“

„მუხ. 94. ნორმალური სამუშაო დროის ხანგრძლიობა როგორც წარმოებაში, ისე წარმოებისათვის საჭირო დამხმარე სამუშაოებზე, არ შეიძლება აღემატებოდეს რვა საათს.

არსებული წესისამებრ შვიდსაათიან სამუშაო დღეზე გადაყვანილ წარმოებითს საწარმოში ნორმალური სამუშაო დროის ხანგრძლიობა (მისავალ გზებზე წარმოებული მუშაობის გამოკლებით) არ შეიძლება აღემატებოდეს შვიდ საათს.

შენიშვნა. ა/კ. შრომის სახალხო კომისარიატს უფლება აქვს, ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით, დააწესოს იმ პასუხისმგებელი პოლიტიკური, პროფესიონალური და საბჭოთა მომუშავეების კატეგორიები, რომელთა შრომაც არ განისაზღვრება 94 მუხლში აღნიშნული დროით“.

„მუხ. 96. 94 და 95 მუხლებში აღნიშნული სამუშაო დროის ხანგრძლიობა ღამის მუშაობისათვის შემცირდება ერთი საათით.

საცვლადო სამუშაოზე ან შეუწყვეტელ მორიგეობაზე სამუშაო დროის ხანგრძლიობა ღამის საათებში ეთანაბრება დღიურ ხანგრძლიობას; ამასთანავე, ასეთ შემთხვევაში სასყიდელი ღამით ნამუშევარი თვითეული საათისათვის დიდდება: ღამის ერთი საათისათვის სასყიდელი გაიცემა როგორც დღის ერთი საათის რვა მეშვიდედისათვის (94 მუხ. პირველი ნაწილი), შვიდი მეექვსედისათვის (94 მუხლის მეორე ნაწილი) და ექვსი მეხუთედისათვის (95 მუხ.)—შესაბამისობით.

ნაჭრობითი მუშაობისათვის ასეთ შემთხვევაში მუშა მიიღებს ღამის თვითეულ საათში, ნაჭრობითი ხელფასის გარდა, აგრეთვე: ის პირი, რომლის ნორმალური სამუშაო დრო რვა და შვიდი საათია,—მისი კატეგორიის საათობითი განაკვეთის ერთ მეშვიდედს; ის პირი, რომლის ნორმალური სამუშაო დრო ექვსი საათია,—ერთ მეხუთედს.

შენიშვნა. ღამის დრო ითვლება საღამოს ათი საათიდან დილის ექვს საათამდე.“

„მუხ. 131. ორსულთა და მაწოვებელთა ღამით მუშაობა და ზედმეტი მუშაობა არ შეიძლება.

შენიშვნა. შვიდ საათიან სამუშაო დღეზე გადაყვანილ საწარმოში ღამის სამუშაოზე არ მიიშვება ორსული დედაკაცი, დაწყებული ორსულობის მეექვსე თვიდან, და აგრეთვე მაწოვებელი დედაკაცი მაწოვრობის პირველი ექვსი თვის განმავლობაში.“

2. ა/კსფსრ შრომის კანონთა კოდექსს დაემატოს 97^1 მუხლი შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 97^1. ისეთ შეუწყვეტელ წარმოებაში, რომელიც არსებული წესისამებრ გადაიყვანება შვიდსაათიან სამუშაო დღეზე, და სადაც, ტეხნიკური პირობების გამო, შეუძლებელია ყოველდღიური შვიდსაათიანი მუშაობის შემოღება,—დამქირავებლისა და სათანადო პროფესიონალური კავშირის შეთანხმებით და შრომის ორგანოს ნებართვით, — შეიძლება შემოღებულ იქნეს მუშაობის სხვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

წესი, ხოლო იმ პირობით, რომ ნორმალური სამუშაო დღის საშუალო ხანგრძლიობა შვიდ საათს არ აღემატებოდეს“.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ა. ბეგზადიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ს. იაკუბოვი.**

1930 წ. ივლისის 13.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 189 №-ში 1930 წ. ივლისის 17-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

150. საბჭოთა არჩევნებისათვის გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ინსტრუქციის მე-15 მუხლისათვის შენიშვნის დამატების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

საბჭოთა არჩევნებისათვის გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ინსტრუქციის მე-15 მუხლს (ა/კსფსრ კან. კრ. 1927 წ. 22 №-ი, მუხ. 244) დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა.** ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების და ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების პრეზიდიუმებს უფლება აქვთ ცალკეულ შემთხვევაში აღუდგინონ ხოლმე საარჩევნო უფლებანი მე-15 მუხლში ჩამოთვლილ პირთ, თუნდაც მათ სამი წლის შრომის სტაჟი არა ჰქონდეთ, უკეთუ დაცულ იქნება ყველა სხვა პირობა, რაც აღნიშნულია მე-15 მუხლში“.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ს. კასიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **ს. იაკუბოვი.**

1930 წ. ივლისის 3.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 181 №-ში 1930 წ. ივლისის 9-ს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილებანი ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

№ 259.

151. „შინამრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის თაობაზე“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივნისის 2-ის დადგენილების განხორციელების შესახებ.

„შინა მრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის თაობაზე“ გამოცემულ სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივნისის 2-ის დადგენილებასთან დაკავშირებით („სსრკ ცენ. აღმ. კ-ტისა და სრულიად რუსეთის ცენ. აღმ. კ-ტის იზვესტია“ 1930 წ. ივნისის 18-სა) ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატსა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ დაუყოვნებლივ მოსპონ შინამრეწველთა და მათ შენაერთთა გადასახადით დაბეგვრის თაობაზე მომქმედი კანონების ყოველგვარი დარღვევა, კერძოდ — მათი ბრუნვის გადამეტებულად გამოანგარიშება, იმ ქონების აწერა და შეკვრა, რაზედაც გადახდევინების მიქცევა აკრძალულია, და აგრეთვე ქონების აწერა და შეკვრა ისეთ გადასახდელთა უზრუნველსაყოფად, რომელთა გადახდის ვადაც ჯერ არ დამდგარა, და სხვ.

2. მიენდოს იმავე რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს — წინადადება მისცენ საპროკურორო ზედამხედველობის ორგანოებს უცილობლად აძლიონ ხოლმე პასუხისგებაში ყველა ის პირი, ვინც დაარღვევს შინამრეწველთა და მათ შენაერთთა გადასახადით დაბეგვრის შესახებ არსებულ კანონებს.

ის საშინამრეწველო და სახელოსნო სარეწაოები, რომელთაც ორი დაქირავებული მუშა და ორზე მეტი ოჯახის წევრი ჰყავთ, სარეწაო გადასახადით დაბეგვრიდან ბრუნვასთან პროცენტული შეფარდებით—გადაყვანილ იქნენ პირადი რეწაობის მეოთხე კატეგორიის მტკიცე განაკვეთით დაბეგვრაზე და გადასახადის განაკვეთი დაწესებულ იქნეს 36 მანეთიდან 144 მანეთამდე შემდეგი ზოლების მიხედვით:

ა) საშინი მასალის დამუშავება, როგორიც არის: აგური, კირი, კრამიტი, გაჯი, ხეტყის მასალა და სხვ.

ბ) თევზის სარეწაოები;

4. თევზისაერის რეწაობისათვის მუშების—დაუქირავებლად, ხოლო ოჯახის ორზე მეტი წევრის დახმარებით—დაწესებულ იქნეს მთლად ა/კსფსრ-ში საერთო განაკვეთი — 16 მან.

შენიშვნა. განაკვეთების გადასინჯვამდე შეტანილი გადასახადის თანხა არ დაიბრუნება.

5. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს გაუქმოს დადგენილება — იმ მეავეჯე შინამრეწველთა დაბეგრის შესახებ ბრუნვასთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროცენტული შეფარდებით, რომელნიც მუშაობენ ერთი დაქირავებული მუშის ან ოჯახის მოზრდილი წევრის დახმარებით.

6. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოებს, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატს და ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს დააჩქარონ ყველა იმ ღონისძიების განხორციელება, რაც გამომდინარეობს სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1930 წ. ივნისის 2-ის დადგენილებიდან „შინამრეწველობისა და სარეწაო კოოპერაციის შესახებ“.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ა. ბეგზადიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. ივნისის 27.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 179 №-ში 1930 წ. ივლისის 7-ს.

260.

152. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული შრომის ბაზრის საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:
დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებული შრომის ბაზრის საბჭოს შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **ა. ბეგზადიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. ივლისის 8.
ტფილისი—სასახლე.

დებულება ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებულ შრომის ბაზრის საბჭოს შესახებ.

1. რათა უზრუნველყოფილ იქნეს სამეურნეო ორგანოებისა და პროფესიონალური კავშირების გავლენა სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგისათვის მუშა-ძალის მომარაგების საქმეში, რათა შეკავშირებულ იქნეს სამეურნეო ორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

განოებისა, პროფესიონალური კავშირებისა და ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის მოქმედება ამ სფეროში და რათა, საერთოდ, გაუმჯობესებულ იქნეს შრომის ბაზრის ორგანიზაცია,—ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან არსებობს შრომის ბაზრის საუწყებათაშორისო საბჭო.

2. საბჭო მოეწყობა შემდეგი უწყებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენელთა შედგენილობით: ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატისა—2, ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი—2, გზათა სახალხო კომისარიატის რწმუნებულისა ა/კსფსრ-ში—1, ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატისა—1, ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატისა—1, ამიერკავკასიის კოლექტიურ მეურნეობათა საბჭოსი—1, ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსი—2, სრულიად საკავშირო ლენინელ ახალგაზრდათა კომუნისტური კავშირის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტისა—1, დიდროვან საწარმოთა მუშების ორგანიზაციებისა—3, ამიერკავკასიის სარეწაო კოოპერაციის კავშირისა—1, ა/კსფსრ გზატკეცილებისა, ყამირგზებისა და საავტომობილო ტრანსპორტის მთავარ სამმართველოსი—1, ამიერკავკასიის რკინის გზების დირექციისა—1, ამიერკავკასიის რკინის გზების მშენებლობის სამმართველოსი—1 და ამიერკავკასიის რკინის გზების პროფესიონალური კავშირისა—1.

საბჭოს თვითეულ წევრს ჰყავს მოადგილე, რომელიც საბჭოს სხდომებში მონაწილეობას იღებს გადამწყვეტი ხმის უფლებით საბჭოს წევრის არყოფნის დროს.

საბჭოს წევრები და მათი მოადგილეები დელეგირებულ იქნებიან სათანადო უწყებებისა და ორგანიზაციების მიერ; ამასთანავე მათი კანდიდატურა შეთანხმებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატთან, ხოლო საწარმოთა ზემოხსენებული სამი წარმომადგენელი მიიწვევა საბჭოს შედგენილობაში იმ წესით, რასაც განსაზღვრავს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან ერთად.

საბჭოს თავმჯდომარეს (ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის წარმომადგენელთაგან) და მის ორ მოადგილეს (ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოს წარმომადგენელთაგან) პერსონალურად დანიშნავს ა/კსფსრ უმაღლესი ეკონომიური საბჭო ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის წარდგენით, რაც შეთანხმებულ უნდა იქნეს ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან და ამიერკავკასიის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან.

3. საბჭოს დაეკისრება:

ა) განიხილოს და დაამტკიცოს შრომის ბაზრის მოწესრიგების ოპერატიული გეგმები:

1) სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების მუშა-ძალით მომარაგების სფეროში;

2) მუშა-ძალის კვალიფიციური კადრების მომზადების სფეროში, რასაც ანხორციელებენ როგორც შრომის ორგანოები, ისე სამეურნეო ორგანოები;

3) სახალხო მეურნეობის ცალკეულ დარგებს შორის სპეციალისტების განაწილების სფეროში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

4) უმუშევართათვის შრომითი და მატერიალური დახმარების გაწევისა და უმუშევრობასთან საბრძოლველად სხვა ღონისძიებათა განხორციელების სფეროში;

5) იმ ღონისძიებათა დაფინანსების სფეროში, რაც ხორციელდება, შრომის ორგანოებისა და სამეურნეო ორგანოების მეშვეობით, შრომის ბაზრის ორგანიზაციისა, მუშა-ხელის კვალიფიციური კადრების მომზადებისა და უმუშევართათვის დახმარების გაწევის დარგებში;

ბ) განიხილოს იმ უაღრესი მნიშვნელობის დადგენილებებისა, განკარულებებისა და დირექტივების პროექტები, რაც გამოიცემა ა/კსფსრ შრომის საახალხო კომისარიატის სახელით ან შეიტანება საკანონმდებლო ორგანოებში „ა“ პუნქტში აღნიშნული საკითხების თაობაზე;

გ) განიხილოს შრომის ბაზრის მდგომარეობის საკონიუნქტურო მიმოხილვები;

დ) იქონიოს კონტროლი აღნიშნული ოპერატიული გეგმების აღსრულების მიმდინარეობისათვის.

4. საბჭოს სხდომები მოიწვევა საჭიროებისადმიხედვით, ხოლო თვეში ერთხელ მაინც.

საბჭოს სხდომის კანონიერებისათვის საჭიროა, რომ სხდომას დაესწროს საბჭოს წევრთა ან მათ მოადგილეთა ნახევარი რიცხვი მაინც და აგრეთვე თავმჯდომარე ან ერთი მისი მოადგილეთაგანი.

საბჭოს ყველა დადგენილება მიიღება ხმის მარტივი უმეტესობით.

5. უკეთუ წევრი თანახმა არ არის საბჭოს დადგენილებისა, მას შეუძლიან განაცხადოს თავისი განსაკუთრებული აზრი, რაც წარდგენილ უნდა იქნეს წერილობით არა უგვიანეს სამი დღისა დადგენილების მიღების დღიდან.

ის დადგენილება, რომლის გამოც განცხადებულია პროტესტი, გადაიტანება გადასაწყვეტად ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიაში, ხოლო ის დადგენილება, რომელიც განპროტესტებული არ არის ამ წესით, ჩაითვლება შეთანხმებულად სათანადო უწყებებთან და ორგანიზაციებთან.

უკეთუ საბჭოში წარმოდგენილი უწყება ან ორგანიზაცია თანახმა არ არის ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის კოლეგიის დადგენილებისა, მას შეუძლიან განაპროტესტოს ეს დადგენილება საამისოდ განსაზღვრული საერთო წესით.

6. ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატს უფლება აქვს საბჭოს მიერ განხილული ყოველი საკითხი ხელმეორედ დააყენოს საბჭოს განსახილველად.

7. საბჭოს უფლება აქვს ჩაბას თავის მუშაობაში როგორც იმ უწყებათა და ორგანიზაციათა წარმომადგენელნი, რომელნიც წარმოდგენილი არ არიან საბჭოში, ისე ცალკეული კომპეტენტური პირები.

8. საბჭოს ჰყავს პასუხისმგებელი მდივანი, ხოლო ყველა სხვამხრივ მას მომსახურეობას უწევს ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატის აპარატი.

9. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებთან, აზერბაიჯანის სსრ-ის შრომის სახალხო კომისარიატისა და საქართველოს სსრ-ის შრომის სახალხო კომისარიატის რწმუნებულებთან ავტონომიური რესპუბლიკებსა და ოლქებში და აგრეთვე შრომის საოლქო განყოფი-

ლებებთან არსებობენ შრომის ბაზრის საუწყებათაშორისო საბჭოები. ამ საბჭოების შედგენილობა, კომპეტენცია და მუშაობის წესი განისაზღვრება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების კანონმდებლობით ამა დებულების შესაბამისად.

№ 262.

153. 1930 წლის შემოდგომის თესვის კამპანიის გეგმის შესახებ.

I.

წინამდებარე შემოდგომის თესვის კამპანიას აქვს უდიდესი სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა, რამდენადაც მის წინაშე სდგას სოფლის მეურნეობის შემდგომი წარმატებისა, მისი თვისებრივი მაჩვენებლების გაუმჯობესებისა და კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის გამაგრებისა და შემდგომი გაშლის ამოცანები.

შემოდგომის თესვის კამპანიის სამეურნეო ამოცანები განისაზღვრება ძირითადად მისი სამარცვლეულო ხასიათით და იმ მნიშვნელობით, რომ იგი აუცილებელი მომმზადებელი ეტაპია გაზაფხულის თესვის პერიოდში ტეხნიკური ნაკვეთის გაფართოებისა, რასაც განსაკუთრებული როლი ეკუთვნის როგორც ამერიკაკასიის, ისე მთელი კავშირის სახალხო მეურნეობაში. ამასთან დაკავშირებით საშემოდგომო ნათესი სივრცის გაფართოება უნდა მოხდეს ხელუხლებელი მიწებისა, ჯერ კიდევ შეუგუებელი მიწებისა და მელიორაციით მიღებული ტერიტორიის გამოყენებით; ხოლო ძვირფასი კულტურების რაიონებში მათი სივრცე უნდა მცირდებოდეს და ადგილი ეთმობოდეს ტეხნიკური კულტურების განვითარებას.

II.

ამისდამიხედვით ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. განისაზღვროს შემდეგი დავალებანი საშემოდგომო ნაკვეთის დათესვისა და 1930 წელს მოსავლიანობის ზრდისათვის:

ნათესის რაოდენობა (ათასი ჰექ-ბით):

	1929 წ.	1930 წ.	ნამატის %-ი
აზერბაიჯანის სსრ	830,0	874,7	5,4
სომხეთის სსრ	104,3	114,1	9,4
საქართველოს სსრ	268,3	275,5	2,7
ა/კსფსრ	1.202,6	1.264,3	5,1

აღნიშნული ფართობიდან კოლექტიურ მეურნეობათა სექტორმა ორიენტიულად უნდა დათესოს არა ნაკლებ 150—180 ათასი ჰექტარისა, რაც მთელი ა/კსფსრ საშემოდგომო ნაკვეთის 12—15 პროცენტს შეადგენს. ამასთანავე, საქართველოში და სომხეთში პროცენტი, საშუალოდ, მეტი უნდა იყოს, ვიდრე აზერბაიჯანში.

მოსავლიანობის ზრდა ა/კსფსრ-ში აღნიშნოს 6-7 პროც.

2. ზემოაღნიშნულ საგეგმო დავალებათა შესასრულებლად მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ორგანოებმა და კოლექტიურ მეურნეობათა და კოოპერატიულმა სისტემამ უნდა განახორციელონ შემდეგი ღონისძიებანი:

ა. სამეურნეო-აგრიკულტურულ სფეროში:

ა) გადიდდეს ჯიშიანი ნათესების ფართობი, რამაც უნდა მიაღწიოს:

აზერბაიჯანის სსრ-ში	—	არა ნაკლებ	10.000	ჰექტ.
სომხეთის სსრ-ში	—	„ „	20.000	„
საქართველოს სსრ-ში	—	„ „	782	„
ა/კსფსრ-ში	—	არა ნაკლებ	30.782	ჰექტ.,

რისთვისაც განხორციელებულ იქნეს ჯიშიან თესლეულთა აპპრობაცია (წმინდაჯიშიანობის დადგინება) და შეიქმნას მათგან სპეციალური ფონდები მოსახლეობისათვის მისაწოდებლად შეშუშავებული გეგმების მიხედვით; თანაც თესლის თვითეული ცალკე ჯიშისათვის ნაჩვენები იქნეს მოკრეფის რაიონები და დათესვის რაიონები. რადგანაც ჯიშიანი თესლით დათესვის დავალებანი მინიმალურია, მიღებულ იქნეს ღონისძიებანი მთლად ქონებული ჯიშიანი თესლის 100%-ით გამოყენებისათვის;

ბ) განხორციელებულ იქნეს მარცვლეულის გაწმენდა 100 პროც., რისთვისაც უზრუნველყოფილ იქნეს მარცვლის საწმენდი მანქანების წესიერი გამოყენება და დატვირთვა (დაწესდეს ცვლადობა, მისი გამოყენების კალენდარული გეგმები და ეს გეგმები მიწვდენილ იქნეს სოფლამდე);

გ) განხორციელებულ იქნეს მარცვლეულის დაწამლვა:

აზერბაიჯანის სსრ-ში	200.000	ცენტნ.
სომხეთის სსრ-ში	52.000	„
საქართველოს სსრ-ში	248.000	„
ა/კსფსრ-ში	500.000	ცენტნ.

მარცვლეულის წესიერი დაწამლვის ორგანიზაციისათვის განხორციელებულ იქნეს ინსტრუქტაჟი სათანადო ადგილობრივი მომუშავეებისათვის;

დ) განხორციელებულ იქნეს 100 პროცენტითი ხვნა ყველგან, სადაც რელიეფი ამის შესაძლებლობას იძლევა, რკინის გუთნებით; სტრაქტორო ხვნამ მოიცვას არა ნაკლებ 220 ათასი ჰექტარისა.

ტრაქტორების დატვირთვა მიღწეულ იქნეს 20 საათამდე და ტრაქტორები უზრუნველყოფილ იქნეს განათების ხელსაწყოებით;

ე) განხორციელებულ იქნეს ადრეული ნასვენთა მოხვნა:

აზერბაიჯანის სსრ-ში	250.000	ჰექტარის ფართობზე;
სომხეთის სსრ-ში	40.000	„ „
საქართველოს სსრ-ში	100.000	„ „
ა/კსფსრ-ში	390.000	ჰექტ. ფართობზე.

ამისთვის ჩატარებულ იქნეს თავის დროზე საშემოდგომო ნათესის კონტრაქტაცია და ადრეული ხვნისთვის დაწესებულ იქნეს ავანსი 8 მან. რაოდენობით 1 ჰექტარზე;

ვ) მიღებულ იქნეს ღონისძიება ყველა ქონებული მწკრივად-მთესი მანქანის 100 პროცენტით გამოყენებისათვის და მარცვლეულთა თესვის დროს შემოღებულ იქნეს ორცვლადი მუშაობა;

ზ) მიმდინარე წლიდან დაწყებულ იქნეს ყველა საბჭოთა მეურნეობაში და მიწათმოწყობილ კოლექტიურ მეურნეობაში თესლთბრუნვის განხორციელება და მიწათმოწყობის გეგმაში შეტანილ იქნეს წესიერი თესლთბრუნვის შემოღება ახლად მიწათმოსაწყობ კოლექტიურ მეურნეობებისათვის;

თ) მიწათმოწყობის დარგის მომუშავეთა თავის დროზე მობლიზაციითა და გარდანაწილებით ჩატარებულ იქნეს თესვის დაწყებამდე მიწათმიჩენისა და მიწათჩვენების მუშაობა, ისე, რომ უზრუნველყოფილ იქნეს კოლექტიურ მეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ტერიტორიის სწორე ორგანიზაცია; ამავე დროს ინდივიდუალურ ღარიბ და საშუალო მეურნეობებს გაეწიოს დახმარება პრაქტიკული დარიგებითა და საქმის ჩვენებით;

ი) მინერალური სასუქით გასაპატიებელი ფართობი ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებში განსაზღვრულ იქნეს საშუალოდ არა ნაკლებ 8.000 ჰექტარისა;

კ) შესრულებულ იქნეს მთლად სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემოზიდვის გეგმა; იმავდროულად საშემოდგომო თესვის კამპანიის საქმის რწმენებულმა შეამოწმოს მანქანების განაწილება რესპუბლიკებზე და რაიონებზე და მიიღოს ღონისძიება მანქანების თანაბარი და რაციონალური განრიგებისათვის;

უზრუნველყოფილ იქნეს თავის დროზე მანქანების მიღწევა ადგილებამდე და მათი წესიერი გამოყენება; განხორციელებულ იქნეს 100%-ით ყველა სასოფლო-სამეურნეო მანქანის რემონტი, რისთვისაც ივლისის 20-თვის უნდა მოხდეს სარემონტო სახელოსნოების მომზადებულობის შემოწმება და აგვისტოს 1-თვის დამთავრდეს სარემონტო ბრიგადების ორგანიზაცია და ადგილებზე დაგზავნა;

ლ) განხორციელდეს ნთესლების კონტრაქტაცია ისე, რომ კონტრაქტაციამ 100 პროცენტით მოიცვას კოლექტიურ მეურნეობათა ნათესები, ხოლო ინდივიდუალური მეურნეობებისა—მაქსიმუმამდე; ამრიგად, საშემოდგომო თესვის კამპანიის დროს დაკონტრაქტებულ უნდა იქნეს არა ნაკლებ, ვიდრე 290.000 ცენტნერი საშემოდგომო ჰურეული,—აქედან არ ა ნაკლებ, ვიდრე 235.000 ცენტნერი ხორბალი;

მ) ზამთრისპირული ნახნავის (შემოდგომისა და ზამთრის ნახნავი საგაზაფხულო) ფართობი, საბამბე რაიონების ზამთრის ნახნავის ჩათვლით, განსაზღვრულ იქნეს:

აზერბაიჯანის სსრ-ში	150.000 ჰექტ., აქედან ბამბა	—100.000 ჰექტ.
სომხეთის სსრ-ში	40.000 ჰექტ., აქედან ბამბა	— 18.000 ჰექტ.
საქართველოს სსრ-ში	80.000 ჰექტ., აქედან ბამბა	— 6.000 ჰექტ.
ა/კსფსრ-ში	270.000 ჰექტ., აქედან ბამბა	—124.000 ჰექტ.

ბ. საორგანიზაციო სფეროში:

ა) კამპანიის საერთო გეგმის საფუძველზე შემუშავებულ იქნეს კონკრეტული გეგმები სარაიონო და სასოფლო მასშტაბით და ეს გეგმები, არა უგვიანეს

1930 წ. აგვისტოს 15-სა, მიწვდენილ იქნეს სოფლამდე, კოლექტიურ მეურნეობამდე და ცალკეულ კომლამდე;

ადგილობრივი აღმასრულებელი კომიტეტებისა და სასოფლო საბჭოების პლენუმებზე, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლექტიურ მეურნეობების საწარმოო თათბირებზე, მოჯამაგირეთა და ღარიბ და საშუალო გლეხთა მასსების ფართო კრებებზე,—ადგილობრივი აგრონომიული ძალისა და აგროორწმუნებულების მონაწილეობით,—ფართოდ იქნეს განხილული ამა თუ იმ რაიონის საშემოდგომო კამპანიის კონკრეტული გეგმები;

იმავე დროისათვის ამიერკავკასიის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა, კოლექტიურ მეურნეობათა საბჭოსთან ერთად, დაუგზავნოს ადგილებს სამანქანო-სატრაქტორო სადგურებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და კოლექტიური მეურნეობებისათვის თესვის კამპანიის ჩატარების სანიმუშო სამუშაო გეგმები;

ბ) შემოდგომის თესვის კამპანიის ჩატარების დროს ფართოდ უნდა იქნეს გამოყენებული დამკვრელობის მეთოდები და სოციალისტური შეჯიბრები ცალკეულ რაიონებსა და სასოფლო საბჭოებს შორის, საბჭოთა მეურნეობებსა, კოლექტიურ მეურნეობებსა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებსა, აგრონომიულ პუნქტებსა, მომსახურეობის გამწევ ორგანიზაციებს (კოოპერაც.) შორის, და ცალკეულ მეურნეობებსა და მომუშავეებს შორის; თანაც საუკეთესო დამკვრელები წახალისებულ უნდა იქნენ სწავლაზე, ექსკურსიაზე გაგზავნით, ხელმძღვანელ სასამუშაოზე დაწინაურებით და დაპრემირების სხვა სახით, რისთვისაც უნდა შეიქმნას განსაკუთრებული საპრემიო ფონდი; მიეწოდოს იმიერკავკასიის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს, ფინანსთა სახალხო კომისარიატთან და კოლექტიურ მეურნეობათა საბჭოსთან ერთად, შეიმუშაოს ორი კვირის ვადაზე და მიაწოდოს ადგილებს ინსტრუქცია ამ ფონდის მოწყობისა და გამოყენების თაობაზე;

გ) ადგილობრივ კამპანიის ჩასატარებლად საჭირო მუშაობის მოწყობისა და ხელმძღვანელობისთვის წინადადება მიეცეს საადგილმამულო ორგანოებსა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას აწარმოონ სასოფლო-სამეურნეო აქტივისა და აგროორწმუნებულების მომზადება და გარდამზადება კურსებისა და კონფერენციების მოწყობით;

იმიერკავკასიის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა უნდა შეიმუშაოს აგვისტოს 1-თვის სოფლის მეურნეობის სპეციალისტებისა, სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლებისა და ტეხნიკუმების სტუდენტების მობილიზაციის გეგმა საშემოდგომო კამპანიის მომზადებისა და ჩატარების პერიოდისა თვის;

დ) რათა გაძლიერებულ იქნეს ღარიბ მეურნეობათა საორგანიზაციო-საწარმოო დახმარება საბჭოთა და კოოპერატიული ორგანოების მხრით, იმიერკავკასიის მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატმა და სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა რესპუბლიკანური კავშირების იმიერკავკასიის კავშირმა უნდა შეიმუშაონ თავიანთი სისტემისათვის რაიონისა და სოფლის ხაზით ამ დახმარების კონკრეტული გეგმები, შეამოწმონ ღარიბთა კოოპერირების ფონდების ხარჯვა და უზრუნველჰყონ ამ ფონდების დანიშნულებისამებრ გამოყენება;

ამავე დროს გაშლილ იქნეს საწარმოო დახმარება სოფლის მეურნეობის განსაზოგადოებული სექტორის მხრით ღარიბ და საშუალო ინდივიდუალურ მეურნეობათათვის, უმთავრესად მით, რომ, საკუთარი თესვის დამთავრების შემდეგ, მუშაობა ბრიგადები, მანქანები და საწევი ძალა მიმართულ იქნეს ინდივიდუალურ მეურნეობათა მინდვრებზე.

ღარიბ და საშუალო მეურნეობათა დახმარება წინამდებარე საშემოდგომო კამპანიის პერიოდში გაშლილ უნდა იქნეს თავის დროზე და იმდენად ფართოდ, რომ ამ დახმარების გაწევით არა მარტო პრაქტიკულად გამოსწორებულ იქნეს ღარიბ და საშუალო მეურნეობათა მიმართ გაზაფხულზე ჩადენილი შეცდომანი და მემარცხენე გადახვევანი, არამედ ამავე დროს შეიქმნას ისეთი მდგომარეობა, რაც ხელს შეუწყობს ღარიბ და საშუალო მეურნეობათა მასსებს ნებაყოფლობით გადავიდნენ წარმოების კოლექტიურ ფორმებზე.

III

1. საშემოდგომო კამპანიის წარმატებით განხორციელება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს სოფლის ფართო მასსების თვითმოქმედებისა და ინიციატივის და ქალაქის მუშათა ორგანიზაციების დახმარებისა და ხელმძღვანელობის საფუძველზე.

საჭიროა მთლად საბჭოთა და კოპერატიული საზოგადოებრიობისა, კოლექტიურ მეურნეობათა წევრებისა და სოფლის ღარიბ და საშუალო გლეხთა მასსების აქტივობის მობილზაცია საშემოდგომო თესვის უაღრესი მნიშვნელობის საკითხების გარშემო. საჭიროა, რომ ქალაქად საბჭოთა, პროფესიონალურმა და საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა თავის დროზე მოახდინონ მუშათა ბრიგადებისა, მუშა-ორგანიზატორებისა და აგიტატორ-პროპაგანდისტების შერჩევა, მომზადება და ადგილებზე გაგზავნა. ფართოდ უნდა გაიშალოს მუშაობა საშემოდგომო თესვის კამპანიის ამოცანების ახსნა-განმარტებისა და აგრო-ტეხნიკურ ღონისძიებათა პროპაგანდისათვის, რისთვისაც გამოყენებულ უნდა იქნეს მასსიური საგიტაციო ზეგავლენის ყოველგვარი საშუალება (ბეჭდვითი სიტყვა, გამოფენა, რადიო, კინო, აგრონომიული ლაშქრობა) და მოხდეს მობილზაცია ქვედა პოლიტგანათლების ქსელისა—თესვის კამპანიისათვის კულტურულ-პოლიტიკური მომსახურეობის გასაწევად.

2. წინამდებარე საშემოდგომო კამპანია, როგორც ფართოდ გაშლილი სოციალისტური შეტევის უაღრესი მნიშვნელობის ეტაპი, გაივლის სოფლად მომქმედი კლასობრივი მტერის გაცოფებული წინააღმდეგობის პირობებში.

მხოლოდ კოლექტიურ მეურნეობათა წევრების მასსაზე დაყრდნობით, მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა ჯგუფების განმტკიცებით და საშუალო გლეხებთან კავშირის გაძლიერებით, თანაც ადგილობრივი საბჭოების გამაგრებით და კულაკზე ფართოდ გაშლილი იერიშის მიტანით შეიძლება კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის განმტკიცებისა და შემდგომი გაფართოების პრობლემის გადაწყვეტა და ა/კსფსრ სოფლის მეურნეობის წარმატება.

IV

დაეკისროს ა/კსფსრ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატს საშემოდგომო თესვის კამპანიის ხელმძღვანელობა და თესვის კამპანიის სამზადისისა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

განხორციელების საქმის მსვლელობის ათ-ათდღიურობითი ანგარიშგების ორგანიზაცია.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. ბეგზადიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. ივლისის 8.
ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 185 №-ში 1930 წ. ივლისის 13-ს.

№ 263.

154. საშემოდგომო თესვის კამპანიის ჩატარებისათვის დანიშნული განსაკუთრებული რწმუნებულის შესახებ.

ამიერკავკასიისც ენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წ. ივლისის 5-ის დადგენილების განსავითარებლად, რომლითაც ამხ. ერზინკიანი დაინიშნა განსაკუთრებულ რწმუნებულად ა/კსფსრ-ში საშემოდგომო თესვის კამპანიის ჩატარებისათვის, ხოლო ამხ. ჯუღელი—მის მოადგილედ,—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. საშემოდგომო თესვის კამპანიის ჩასატარებლად დანიშნულ განსაკუთრებულ რწმუნებულს დაეკისროს—საერთო ხელმძღვანელობა და მეთვალყურეობა გაუწიოს საშემოდგომო თესვის კამპანიის მომზადებას და ჩატარებას და აგრეთვე კონტროლი იქონიოს სსრკ-ისა და ა/კსფსრ-ის მთავრობის მიერ საშემოდგომო თესვის კამპანიის ჩასატარებლად საჭირო ღონისძიებათა შესახებ გამოცემული დადგენილებების შესრულებისათვის.

2. 1-ლ მუხლში აღნიშნული ამოცანის შესასრულებლად საშემოდგომო თესვის კამპანიის ჩატარებისათვის დანიშნულ განსაკუთრებულ რწმუნებულს უფლება ეძლევა:

ა) მოსთხოვს ა/კსფსრ ორგანოებსა და აგრეთვე რესპუბლიკანურ და ადგილობრივ ორგანოებსა და ორგანიზაციებს—შეასრულონ დაუყოვნებლივ ყველა მისი განკარგულება და წარუდგინონ მას ცნობები საშემოდგომო თესვის კამპანიის მომზადებისა და მსვლელობასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა შესახებ;

ბ) მოსთხოვოს ყველა დაწესებულებასა, საწარმოს და ორგანიზაციას—დაუყოვნებლივ და უცილობლად ააცილოს საქმეს საშემოდგომო თესვის კამპანიის მომზადებისა და ჩატარების სფეროში შემჩნეული ნაკლი;

გ) დაადგას ადმინისტრატიული გადასახდელი და სამართალში მისცეს ყველა ის თანამდებობის პირი, ვინც თავის დროზე ან სათანადოდ არ შეასრუ-

387

ლებს მის განკარგულებას, ვინც გამოიჩენს უთაურობას ან ჩაიდენს ისეთ მოქმედებას, რასაც შეუძლიან ცუდი გავლენა მოახდინოს თესვის კამპანიის წარმატებით ჩატარებაზე;

დ) სასწრაფო, გადაუდებელ შემთხვევაში, გადასწყვიტოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს სახელით საშემოდგომო ოესვის კამპანიის მომზადებისა და ჩატარებასთან დაკავშირებული ყველა საკითხი, რაც შემდგომ უნდა მოახსენოს სახალხო კომისართა საბჭოს.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **ა. ბეგზადიანი.**

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველის თან. დრ. აღმ. **ა. ბანოვიჩი.**

1930 წ. ივლისის 8.
ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 186 №-ში 1930. წ. ივლისის 14-ს.

საქართველოს სახკომსაბჭოს სტამბა
მთავლ. № 1.081. ტირაჟი 850.